საქართველო/საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოში საბანკო რეზოლუციისათვის მზადყოფნის პროექტი (P171039)

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (გსვგ)

შეთანხმებული

ივნისი 1 2026

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა

1. საქართველო (შემდგომში „მსესხებელი“) განახორციელებს საქართველოს კომერციული ბანკების სარეზოლუციო მზაობის პროექტს (შემდგომში „პროექტი“), საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონაწილეობით, სესხის ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) განსაზღვრული პირობების შესაბამისად. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (შემდომში „ბანკი“) დათანხმდა პროექტის დაფინანსებას, როგორც ეს ხელშეკრულებაშია განსაზღვრული.

2. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტი განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (გსს) და ამ გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის (შემდგომში „გეგმა“) შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები ფორმით. გსვგ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. თუ ამ გეგმაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ამ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ხელშეკრულების მიხედვით მინიჭებული მნიშვნელობა.

3. ზემოაღნიშნული შეზღუდვის გარეშე, ეს გეგმა განსაზღვრავს არსებით ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომელთა განხორციელებასაც უზრუნველყოფს მსესხებელი ან უზრუნველყოფს მათი განხორციელების ორგანიზებას, მათ შორის, მათი შესრულების შესაბამის ვადებს; ინსტიტუციურ, საკადრო, ტრენინგის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმებს; ასევე, საჩივრების მართვას. გეგმა ასევე განსაზღვრავს იმ გარემოსდაცვით და სოციალურ დოკუმენტებს, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა მომზადდეს ან განახლდეს, გაიმართოს კონსულტაციები, გამოქვეყნდეს და შესრულდეს გსს-ს შესაბამისად, ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით. აღნიშნული გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები შეიძლება დროდადრო გადაიხედოს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით. მითითებული ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებელი უზრუნველყოფს საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობას გეგმის განხორციელების ხარჯების დასაფარად.

4. ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ეს გეგმა დროდადრო გადაიხედება, რაც უზრუნველყოფს პროექტში ცვლილებების ადაპტირებულ მართვას, ასახავს გაუთვალისწინებელ გარემოებებს ან პროექტის შესრულებაზე რეაგირებას. ასეთ შემთხვევებში, ბანკი და მსესხებელი თანხმდებიან გეგმის განახლებაზე აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით, ბანკსა და ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის წარმომადგენელს შორის ხელმოწერილი წერილების გაცვლით გზით. მსესხებელი დაუყოვნებლივ გაასაჯაროებს განახლებულ გეგმას.

5. ქვემოთ მოცემული პუნქტი „განხორციელების მზაობის ინდიკატორები“ განსაზღვრავს იმ ქმედებებსა და ღონისძიებებს, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდება, რომ შეფასდეს პროექტის მზაობა დაიწყოს ამ გეგმის განხორციელება. მიუხედავად ამისა, ამ გეგმაში განსაზღვრული ყველა ქმედება და ღონისძიება განხორციელდება ქვემოთ მოცემულ ვადების სვეტში მითითებული პირობების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, ჩამოთვლილია თუ არა ისინი აღნიშნულ ქვეპუნქტში.

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	არსებითი ღონისძიებები და მოქმედებები	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**
განხორციელების მექანიზმები და შესაძლებლობების გაძლიერება			
ა	**ორგანიზაციული სტრუქტურა** სებ-ში განისაზღვროს კვალიფიციური თანამშრომელი და გამოიყოს შესაბამისი რესურსები პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებისა და ზემოქმედებების სამართავად, გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების უზრუნველსაყოფად და პროექტის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (ESHS) საკითხებზე საკონტაქტო პირის ფუნქციის შესასრულებლად.	ხელმოწერის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში და შემდგომში მისი შენარჩუნება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
ბ	**შესაძლებლობების გაძლიერების გეგმა/ღონისძიებები** მომზადდეს და განხორციელდეს შემდეგი შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები: • პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებზე, მათ შორის გეგმაზე, სებ-ის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება. • პროექტთან და საჩივრების განხილვის მექანიზმთან დაკავშირებული შეკითხვების, საჩივრებისა და პრეტენზიების მართვის საკითხებზე სებ-ის შესაბამისი თანამშრომლებისა და კომერციული ბანკების ცნობიერების ამაღლება.	ხელმოწერის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში და შემდგომ ყოველწლიურად, პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
მონიტორინგი და ანგარიშგება			
გ	**რეგულარული ანგარიშგება** გეგმის განხორციელების შესახებ რეგულარული მონიტორინგის ანგარიშგების მომზადება და ბანკისთვის წარდგენა. ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს: • გეგმის ფარგლებში მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალურიდოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების სტატუსი • დაინტერესებულ მხარეების ჩართულობის აქტივობების შეჯამება, რომელიც განხორციელდა 10.5.-ის შესაბამისად • საჩივრები, რომლებიც წამოდგენილია საჩივრების მართვის მექანიზმებში, საჩივრების რეესტრი და მათი მოგვარების/გადაწყვეტის პროგრესი • „დ“ სექციაში მოცემული ქმედების ფარგლებში დაფიქსირებული ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობა და მათი მოგვარების/გადაწყვეტის სტატუსი	ხელმოწერის თარიღიდან, პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, ნახევარწლიურად და პროექტის ანგარიშგების ფარგლებში	სებ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

არსებითი ღონისძიებები და მოქმედებები		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**
დ	**ინციდენტები და უბედური შემთხვევები** ბანკს ეცნობოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე, საზოგადოებაზე ან მუშაკებზე, მათ შორის ისეთი შემთხვევების შესახებ, რომლებიც იწვევს მუშაკების ან საზოგადოების წარმომადგენლების გარდაცვალებას ან მნიშვნელოვან დაზიანებას; ძალადობის, დისკრიმინაციის ან პროტესტის აქტების შესახებ; კულტურულ მემკვიდრეობაზე ან ბიომრავალფეროვნების რესურსებზე გაუთვალისწინებელი ზემოქმედების შესახებ; გარემოს დაბინძურების შესახებ; კაშხლის ავარიის შესახებ; იძულებითი ან ბავშვთა შრომის შესახებ; სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე გადაადგილების შესახებ, მათ შორის იძულებითი გამოსახლების შემთხვევების შესახებ; სექსუალური ექსპლუატაციის ან ძალადობის (SEA), ან სექსუალური შევიწროების შესახებ (SH); ან დაავადებების გავრცელების შესახებ, როგორც ეს დამატებით არის განმარტებული პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში (POM). უზრუნველყოფილ იქნეს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის სათანადო განხილვა მისი უშუალო, საფუძვლად არსებული და ძირეული მიზეზების დასადგენად. მომზადდეს, შეთანხმდეს ბანკთან და განხორციელდეს მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის აღმოსაფხვრელად და მისი განმეორების თავიდან ასაცილებლად გასატარებელ ღონისძიებებსა და ქმედებებს.	ბანკს ეცნობოს ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ბანკს წარედგინოს განხილვის ანგარიში და მაკორექტირებელი ქმედებების გეგმა საწყისი შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, თუ ბანკთან წერილობით განსხვავებული ვადა არ არის შეთანხმებული.	სებ
გსს 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასება და მართვა			
1.1	**გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და/ან გეგმები** რეზოლუციის პროცესში მყოფი ბანკის საქმიანობების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის სტატუსის განხილვა, მათ შორის იმის შეფასება, თუ რამდენად იცავდა ასეთი ბანკი აკრძალული საქმიანობების სიის მოთხოვნას რეზოლუციის პროცესში; ხოლო ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, დროებითი ბანკისგან მოთხოვნა ან რესტრუქტურიზებული ბანკისთვის რეკომენდაციის გაცემა, რომ ბანკის რესტრუქტურიზაციის გეგმის ან დროებით ბანკის ბაზრიდან გასვლის სტრატეგიის ფარგლებშ მან აღმოფხვრას ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, რომლებიც ასახულია სებ-ის მდგრადი დაფინანსების სახელმძღვანელოში (2023), ასევე ამავე სახელმძღვანელოს ყველა სხვა დებულებასთან, მათ შორის აკრძალული საქმიანობების სიასთან, ნებისმიერი შეუსაბამობა ბანკის რეზოლუციის პროცესში.	შესაბამისობის სტატუსი შეფასდეს ბანკის რესტრუქტურიზაციის გეგმის მომზადების ფარგლებში; ხოლო მაკორექტირებელი ქმედებები განხორციელდეს ბანკის რესტრუქტურიზაციის გეგმის განხორციელების პროცესში.	სებ
1.2	**მსესხებლის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს გამოყენება**	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	არსებითი ღონისძიებები და მოქმედებები	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**
	კონტროლი, რომ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა შეესაბამება ამ გეგმის და მსესხებლის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ქვეყნის შესაბამის პოლიტიკის ჩარჩოს, სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, მათ შორის, ეროვნულ, უწყებრივ ან ადგილობრივ ინსტიტუტებს, აგრეთვე მოქმედ კანონებს, რეგულაციებს, პროცედურებს და განხორციელების შესაძლებლობებს. ბანკს დაუყოვნებლივ ეცნობოს მსესხებლის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც არსებითად უარყოფითად შეიძლება აისახოს მსესხებლის უნარზე, მართოს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედებები გსს-ებთან შესაბამისობაში, ასევე იმ დაუყოვნებელი ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიმართულია აღნიშნული ცვლილებებისა და მათგან გამომდინარე პოტენციური რისკებისა და ზემოქმედებების აღმოსაფხვრელად. თუ ბანკის შეფასებით ასეთი ცვლილებები უარყოფითად აისახება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესაბამის ასპექტებზე, მსესხებელი დაეთანხმება იმ ღონისძიებებისა და ქმედებების განხორციელებას, რომლებიც ბანკისთვის მისაღები იქნება. გეგმა განახლდება აღნიშნული შეთანხმებული ქმედებების ასახვის მიზნით.	ბანკს დაუყოვნებლივ ეცნობოს მსესხებლის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოში ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. შემდგომი ქმედებები, თუ ეს მოთხოვნილი იქნება ბანკის მიერ, აისახება განახლებულ გეგმაში, ამ გეგმის საწყისი ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებულის შესაბამისად.	
გსს 2: სამუშაო პირობები			

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	არსებითი ღონისძიებები და მოქმედებები	ვადა	პასუხისმგებელი უწყება
2.1	**სამუშაოს მართვის პროცედურები** უზრუნველყოფილ იქნეს, რომ პროექტის თანამშრომელთა შრომის მართვა და სამუშაო პირობები შესაბამისობაში იყოს წინამდებარე გეგმასთან, გსს 2-თან და მსესხებლის შრომით ჩარჩოსთან, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ქვეყნის შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, მათ შორის ეროვნულ, უწყებრივ და ადგილობრივ განმახორციელებელ ინსტიტუტებს, ასევე მოქმედ კანონებს, რეგულაციებსა და პროცედურებს, როგორიცაა საქართველოს შრომის კოდექსი (2025), სებ-ის შინაგანაწესი (2024), სებ-ის ეთიკის კოდექსი (2018), თანამშრომლებისთვის განკუთვნილი საჩივრების მექანიზმი და განხორციელების შესაძლებლობები. ბანკს დაუყოვნებლივ ეცნობოს ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მსესხებლის შესაძლებლობაზე, მართოს პროექტის შრომითი რისკები და ზემოქმედებები გსს 2-ის შესაბამისად; ასევე ეცნობოს იმ დაუყოვნებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდა ან იგეგმება ასეთი ცვლილებებისა და მათგან გამომდინარე პროექტის პოტენციური რისკებისა და ზემოქმედებების საპასუხოდ. თუ ბანკის შეფასებით, ასეთი ცვლილებები უარყოფითად აისახება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესაბამის ასპექტებზე, მსესხებელი დათანხმდება ისეთი ღონისძიებებისა და ქმედებების განხორციელებაზე, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს ბანკისთვის მისაღები ფორმით გადაჭრის. გეგმა განახლდება აღნიშნული შეთანხმებული ქმედებების ასახვის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია თანამშრომელთა გათავისუფლება, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკები ან დროებითი ბანკები დაიცავენ საქართველოს შრომის კოდექსს, მათ შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობის, სამართლიანობის, სპეციალური დაცვის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლებისა და წერილობითი შეტყობინების ვალდებულების შესახებ დებულებებს, როგორც ეს ასახულია სებ-ის მდგრადი დაფინანსების სახელმძღვანელოში (2023), ასევე ამავე სახელმძღვანელოს ყველა სხვა დებულებაში.	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. ბანკს დაუყოვნებლივ ეცნობოს მსესხებლის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოში ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, შემდგომი ქმედებები აისახოს განახლებულ გეგმაში, ამ გეგმის საწყისი ნაწილის მე-4 პუნქტში მითითებულის შესაბამისად.	სებ
გსს 3:	**რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა**		
3.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		
გსს 4:	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**		
4.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		
გსს 5:	**მიწის შეძენა, მიწის გამოყენებაზე შეზღუდვები და იძულებითი გადაადგილება**		
5.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

არსებითი ღონისძიებები და მოქმედებები		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**
6.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		
გსს 7: მკვიდრი ხალხი / სუბსაჰარულ აფრიკაში ისტორიულად მომსახურების წვდომაზე შეზღუდული ტრადიციული ადგილობრივი საზოგადოება			
7.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		
გსს 8: კულტურული მემკვიდრეობა			
8.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		
გსს 9: ფინანსური შუამავლები			
9.1	**ამ ეტაპზე არ არის რელევანტური**		
გსს 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება			
10.1	**დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების ანგარიშგება** გსს 10-ის შესაბამისად, რეგულარული ანგარიშების ფარგლებში, საჭიროებისამებრ დოკუმენტირდეს და წარდგენილ იქნას დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის განხორციელებული აქტივობები, მათ შორის: (i) დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და/ან მეპინგი; (ii) გავრცელებული ინფორმაცია; (iii) კონსულტაციების და გამოყენებული მონაწილეობის მექანიზმების აღწერა და ჩატარებული შეხვედრების ჩანაწერები; (iv) მიღებული უკუკავშირი და მასზე გაცემული პასუხები; და (v) ღონისძიებები იმ დაინტერესებული მხარეების ჩასართავად, რომლებიც თავიანთი განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიძლება იყვნენ დაუცველ ან არასახარბიელო მდგომარეობაში;	პროექტის განხორციელების განმავლობაში ნახევარწლიურად.	სებ
10.2	**დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები** დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები კულტურულად შესაბამისი ფორმით, რომელიც თავისუფალია მანიპულაციის, ჩარევის, იძულების, დისკრიმინაციისა და დაშინებისგან.	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
10.3	**კომუნიკაციის სტრატეგია** სებ-ის რეზოლუციის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მმართველობა, როლები და გადაწყვეტილებების ხეები (decision trees), წინასწარ დამტკიცებული შაბლონები და სხვადასხვა რეზოლუციის სცენარისთვის გამზადებული ზოგადი შეტყობინებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ტრადიციულ მედიაში, ასევე სოციალურ მედიაში დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ, მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის და პლატფორმებს შორის ერთგვაროვნებასა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.	ხელმოწერის თარიღიდან 360 დღის განმავლობაში და შემდგომში პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის

	არსებითი ღონისძიებები და მოქმედებები	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**
10.4	**კომერციული ბანკების კომუნიკაციის სახელმძღვანელოები** კომერციულმა ბანკებმა, რომელთათვისაც მზადდება რეზოლუციის გეგმები, რეზოლუციის გეგმის მომზადების ჩარჩოს ფარგლებში წარმოადგინონ და მუდმივად განაახლონ პრაქტიკულად გამოყენებადი საკომუნიკაციო მასალები, რომლებიც განმარტავენ იმ ძირითად ელემენტებს, თუ როგორ განახორციელებდნენ ისინი კომუნიკაციას რეზოლუციის რეჟიმში შესაბამის დაინტერესებულ ჯგუფებთან, მათ შორის, დეპოზიტარებთან, მოწყვლად ჯგუფებთან, ინვესტორებთან, თანამშრომლებთან, კრიტიკული სერვისების მომწოდებლებთან და მედიასთან.	ხელმოწერის თარიღიდან 2 წლის განმავლობაში და შემდგომში პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
10.5	**სებ-ის ვებგვერდის გაძლიერება კომერციული ბანკის რეზოლუციის მიმართულებით** დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შესახებ დროულად, გასაგებ, ხელმისაწვდომ და შესაბამის ფორმატში. ამ მიზნით, განახლდეს და გაფართოვდეს სებ-ის საჯარო ვებგვერდები კომერციული ბანკების რეზოლუციის საკითხებზე ხელმისაწვდომისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, მკაფიოდ სტრუქტურირებული ხშირად დასმული კითხვების (FAQ) განყოფილების ჩათვლით.	ხელმოწერის თარიღიდან 180 დღის განმავლობაში და შემდგომში პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
10.6	**მიზნობრივი კომუნიკაცია სოციალურ მედიაში** შემუშავდეს მსუბუქი და პროაქტიული მიდგომა სოციალურ მედიაში, რომელიც მიზნად ისახავს მოკლე განმარტებითი კონტენტის გავრცელებას და საზოგადოებისთვის კომერციული ბანკების რეზოლუციის შესახებ ვებგვერდზე განთავსებულ ხშირად დასმულ კითხვებზე (FAQ) გადამისამართებას, დეპოზიტართა დაცვისა და კრიზისების მართვის მექანიზმების მიმართ ნდობის გაძლიერებისთვის.	ხელმოწერის თარიღიდან 180 დღის განმავლობაში და შემდგომში პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
10.7	**პროექტის საჩივრების მართვის მექანიზმი** შენარჩუნდეს და მოქმედებდეს ხელმისაწვდომი საჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებული საკითხებისა და საჩივრების მიღებას და მათი მოგვარების ხელშეწყობას დროულად და ეფექტურად, გამჭვირვალე და კულტურულად შესაბამისი ფორმით, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა მხარისთვის, ყოველგვარი საფასურის გარეშე, მათ შორის ანონიმურად წარდგენილი საკითხებისა და საჩივრებისთვის, რომელიც შესაბამისი იქნება გსს 10-ის მოთხოვნებთან.	პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.	სებ
განხორციელების მზაობის ინდიკატორები			
ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები წარმოადგენს განხორციელების მზაობის ინდიკატორებს: - სებ-ში განისაზღვრონ კვალიფიციური თანამშრომლები, რომელიც პასუხისმგებლები იქნებიან პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების მართვაზე.			

მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის